ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1579170

ნომერი: AR1262178

თარიღი : 31.10.2014

გაცემის თარიღი : 05.11.2014

გაცნობის თარიღი : 06.11.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , N71 ; ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , N71 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ჩიქობავა პ/ნ 01030051627
- თბილისი გ.ჩიტაიას ქ. N 35

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად გაცნობებთ: აღნიშნულ საკითხზე თქვენ უკვე შემოტანილი გქონდათ დოკუმენტაცია AR1258298 განაცხადით, რაზეც №1557313 გადაწყვეტილებით გეთქვათ უარი სერვიტუტის და იერსახის გამო. ამჟამად ახალი განაცხადით წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ვიზუალური მხარე გამოსწორებულია, თუმცა საკადასტრო ერთეულებზე ღობე არასწორად გაქვთ დასმული. საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზის (რუკის) მიხედვით წარმოდგენილი სახით ღობე გადადის #01.17.12.005.025 საკადასტრო ერთეულზე არსებულ სერვიტუტზე (იხ. დანართი, 1 ფურცელი), სადაც დაუშვებელია ყველა სახის სამშენებლო სამუშაობის განხორციელება, აღნიშნულიდან გამომდინარე ღობის მოწყობა სერვიტუტზე დაუშვებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა .

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.